

საქართველო

პროვზული თავისუფლების ზმით - პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პროვზული თავისუფლების ზმით - პიროვნული თავისუფლებისაკენ!

პროვზული
ზიგლიოთიკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოლა 1903-1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№46 (1484)

30.IX.-3.X, 1996 წელი

აქარაში ჩატარებული პრევენები სამოგავლოდ უარყოფით შედეგს აუხილუბლად გამოიღებს

მირა გვარდი



**კი, გატონო, ჩვენ
კოგუნისტები,
თქვენ ანტიკოგუნისტები -
მოგვინყეთ «მრგვალი მაგიდა».
ღაე, კბითხველაე განსაჯოს!..**

მესამე გვარდი

მე-11 კლასილეზო, აბიგუჩინებო!

დღეიდან თვალი ადგენეთ
გაზეთ „საქართველოს“.
მე-5 გვერდზე
ყოველთვის დაიბეჭდება
მასალა, რომელიც
დიდად წაგადგებათ
ცოდნის შევსებისთვის,
გამოცდების
უპროტექციოდ
ჩაბარებისათვის...
გაგრძელებთ
კონსტანტინე
გამსახურდიას
„დიდოსტატის
კონსტანტინეს
მარჯვენის“ განხილვას.
გფიქრობთ, ამ
საპროტგრამო რომანის
ასლებურად გააზრების
ცდას ფართო
მკითხველიც
მიადევნებს თვალს.

«ომის გარეშე ჩვენ აფხაზეთში ვერ შევალოთ»

28 სექტემბერს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში აფხაზეთის ტრაგედიის სამი წლისთავის აღსანიშნავად პრეს-კონფერენცია გაიმართა. საუბარი შეეხო ჟურნალისტების მიერ ომის პერიოდში გაწეულ მუშაობას. აღნიშნა, რომ „ომი არ წაუგია ომშვიდობის ან სიღნაღელ გლეხს, ომი წააგო ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულმა პოლიტიკურმა კურსმა“.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, თნადარეიშვილის თქმით, 27 სექტემბერი აფხაზეთში აღნიშნეს, როგორც აფხაზეთის განთავისუფლება ქართველი ოკუპანტებისაგან. 30 სექტემბერი კი საზეიმოდ აღინიშნა, როგორც მან აღნიშნა, არ უნდა შეწყდეს ღაპარაკი ქართველთა გენოციდზე და ეთნიკურ წმენდაზე. „ომის გარეშე ჩვენ აფხაზეთში ვერ შევალოთ. თუ საქართველო მტკიცე პოზიციაზე დადგება, აფხაზეთს დაგიბრუნებთ. არცერთი დგენილი არ შეგვუბა აფხაზეთის დაკარგვას“ - განაცხადა თნადარეიშვილმა.

მუშაგდება აბრარული პოლიტიკის კონცეფცია

საბაბნტოს კორესპონდენტის ცნობით, დღეს სახ.კანცელარიაში აგრარული პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც განიხილეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ მომზადებული საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია. თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ეშვარდნაძე მთავრობის წევრები. განხილვის შემდეგ კონცეფციას მიიღებს საქართველოს პარლამენტი.

«მე სახლში მოვადი»

56 წლის განშორების შემდეგ საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა რადიოსადგურ „თავისუფლება“-ს ქართული სამსახურის ერთ-ერთი დამფუძნებელი კარლო ინასარიძე. 28 სექტემბერს იგი ჟურნალისტებს შეხვდა და მოუთხრო რადიოსადგურის ქართული რედაქციის შესახებ, რომელიც 1952 წელს შეიქმნა მიუნხენში. მან გულისტკივლით აღნიშნა, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ახალი თობის უმრავლესობამ ქართული არ იცის და ვინც ღაპარაკობს ქართულად, არა იმ დონეზე, რომ ჟურნალისტობა შესძლოს. თუმცა, სასიხარულია ის ფაქტი, რომ ყველა ეროვნული სულითაა გაკლენილი. „რაც შეეხება შთაბეჭდილებებს შთაბეჭდილებები არ არის - მე მოვედი სახლში. ჩვენ არ ვართ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. ჩვენ ვართ უცხოეთში მცხოვრები ქართველები“ - განაცხადა კინასარიძემ. მისი აზრით, საქართველო სწორ გზას ადგას. ახლა საჭიროა თავისუფლების ხორც შესხმა.

როგორც კარლო ინასარიძემ საზღვარგარეთ არსებული, საქართველოს მთავრობის მიერ 1921 წელს საზღვარგარეთ გატანილი, ქართული განძის შესახებ აღნიშნა, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საქართველოში ჩამოტანილი განძის გარდა, საზღვარგარეთ დარჩენილი საგანძურის ნაწილი, რომელიც სამ ნაწილად ინახება. ერთი ნაწილი პარგარდის უნივერსიტეტის სანახებშია, მეორე ნაწილი - ორი დიდი გაუხსნელი ყუთი - საფრანგეთში, ლევილიშია, მესამე ნაწილი კი საიდუმლოებას წარმოადგენს და ნოტარიუსთან ინახება. განძთან დაკავშირებულ საკითხებზე, კინასარიძის თქმით, ახლო მომავალში, საქართველოში ჩამოსვლას აპირებს აღნიშნული განძის არქივის ხელმძღვანელი მამია ბერიშვილი. (იზრინდა)

სამხილუბელისა დაუყოვნებლივ

მეოთხე გვარდი



გაგვიზის გამტახებელი

მეექვსე გვარდი

საქართველოს საზღვრებს 10 ათასამდე რუსი მისაზღვრე იტავს

ამჟამად საქართველოს საზღვრებს იტავს 10 ათასამდე რუსი მისაზღვრე. ისინი განლაგებული არიან მდინარე ფსოუდან საქართველო - თურქეთის საზღვრამდე. სასაზღვრო ჯარების ჯგუფი "გურუნიას" შემადგენლობაში შედის აგრეთვე საზღვრო ხომალდთა ჯგუფი. რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნაწილებში კონტრაქტის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებიც მისაზღვრები. (იპრ/ნა)

მიმდინარეობს

ინტენსიური

კონსულტაციები რფ-

ის თავდაცვის

სამინისტროსთან

რფ-ის თავდაცვის სამინისტროსთან მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები, პარიზის ხელშეკრულების თანახმად (სეროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ) - 1990 წ.) საქართველოს კუთვნილი ქვოტების რუსეთისათვის გადაცემის თაობაზე. იმ პირობით, თუ საქართველო სანაცვლოდ მიიღებს მძიმე სამხედრო ტექნიკას და უახლესი ტიპის არტილერიას. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. ქართული მხარე მოითხოვს, რომ ხელშეკრულება გაფორმდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრინციპულად გადაწყდება აფხაზეთის პრობლემა. (იპრ/ნა)

ქართული მხარის

პროტესტი უზღვევდა

რჩება

მიუხედავად ქართული მხარის არაერთგზის პროტესტისა, რფ-ის მე-საზღვრეები, რომლებიც იტავენ საქართველო-თურქეთის საზღვარს, თვითნებურად აჩერებენ და ჩხრეკავენ სატვირთო ავტომანქანებს, მათ შორის "წითელი ჯგერის", "წითელი ნახევარმთვარის" და სხვა პუმანტარული ორგანიზაციების ტვირთებს. ქართული მხარის პროტესტებზე რუსი მე-საზღვრეები პასუხობენ, რომ მათ მიღებული აქვთ ბრძანება რუსეთის სასაზღვრო უწყების დირექტორის, არმიის გენერალ ანდრეი ნიკოლაევისაგან, რომ გაჩხრეკონ ყველა ტვირთი, რომლის მეშვეობითაც საქართველოს გავლით შეიძლება ჩინეთში შეიტანონ იარაღი. (იპრ/ნა)

სტუმრად კავკასიის

მუსლიმანთა

დელეგაცია

პარლამენტის პრეს-ცენტრის ცნობით, 28 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ მ. უგანიაძემ მიიღო კავკასიის მუსულმანთა სამართლებრივი დელეგაცია შეიხ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს ხელმძღვანელობით. პარლამენტის თავმჯდომარემ სტუმრობის ვიზიტს უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა. როგორც სტუმარმა აღნიშნა, საქართველოსა და აზერბაიჯანს ბევრი რამ აკავშირებთ ერთმანეთთან. მან იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდება. დელეგაციამ პარლამენტს აზერბაიჯანის პრეზიდენტის პალიაფის საღამო გადასცა.

ალსანიშნავია, რომ ჩვენი სტუმრობა სოხუმის დაცემის შესახებ წლისთვის დაემთხვა, - განაცხადა ფაშა ზადემ.

27 სექტემბერს, საღამოს, თბილისის მეჩეთში ლოცვისას ფაშა ზადემ და თბილისის მუსულმანურმა მრევლმა აფხაზეთში დადუპულთა სულეები მოიხსენიეს. (იპრ/ნა)

აჭარაში ჩატარებული პრევენციული სამხედრო პარყოფით შედეგს აუცილებლად გამოიყენებს

აჭარაში ჩატარებულმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაგვიანხა, რომ საქართველოში პოლიტიკური ვითარება საკმაოდ მძიმეა. ფაქტურად დაკარგულია აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღდგენის რეალური პერსპექტივაც ჩანს, ხოლო აჭარაში დამოუკიდებლობის გარეშე მოიპოვა. მართალია, საქართველოს პრეზიდენტი დამოუკიდებელ და სამართლებრივ სახელმწიფოს გვირგვინს, მაგრამ სახეზე გვაქვს ავტორიტარული რეჟიმი, რომელმაც მოსახლეობა გამოუვალ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში ჩააგდო, ხოლო მორალური და თრეფუნით მათ სრულ მორჩილებას მიაღწია.

ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი იყო აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი, რომელიც მოსალოდნელი შედეგით დამთავრდა. შეიქმნა შევარდნაძე-აბაშიძის ძლიერი ალიანსი, რომელმაც ხელისუფლება გაყო. პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციურად, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გარანტი უნდა იყოს, თავად ხელს უწყობს ანტიკონსტიტუციური და ანტიდემოკრატიული მოვლენების განვითარებას, რითაც ხელისუფლების განმტკიცება-გახანგრძლივება აქვს განზრახული. გასაკვირია, ე.შ. შევარდნაძე სულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა განხორციელებაზე ლაპარაკობს, საქმით კი სანინალმდევროს აკეთებს. მდგომარეობას ართულებს მესხეთ-ჯავახეთში შექმნილი დაძაბულობა და თურქ-მესხთა ჩამოსახლების საკითხი, რომელსაც ხელისუფლება ჯერჯერობით არ ახმაურებს.

ასეთ პოლიტიკურ ფონზე აჭარაში ჩატარებული არჩევნები სამომავლოდ უარყოფით შედეგს აუცილებლად გამოიყენებს. ამიტომაც ამ პრობლემაზე ვესაუბრეთ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს.

ოთარ ზოიძე: მოსახლეობას საკუთარი ნების გამოხატვის პირობები არ ჰქონდა

- როგორ მზადდებოდა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები და თქვენ როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?

- მოსახლეობას საკუთარი ნების გამოხატვის პირობები არ ჰქონდა, ვინაიდან არჩევნებში ჩართული იყვნენ თანამდებობის პირები, პოლიცია, პროკურატურა, სახლმართველობები, მეურნეობების თავმჯდომარეები, რომლებიც ხელისუფლების მხარდასაჭერად მუშაობდნენ. ასეთივე პოზიციას გამოხატავდა აჭარის ტელევიზიაც და გაზეთი "აჭარა". მასში 11 სექტემბერს დაიბეჭდა სააგენტო "აჭარის" ინფორმაცია, თითქოს 1992 წელს "რესპუბლიკელები" თბილისის მხარდაჭერით, აჭარაში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ და მასობრივ არეულობის შექმნით ვაპირებდით აბაშიძის მოკვლას. ტელევიზიით სამჯერ უჩვენეს ფილმი "რას გადაურჩა აჭარა". მასში ნაჩვენებია აფხაზეთისა და სამეგრელოს კონფლიქტთა მძიმე კადრები და კომენტარს უკეთებდნენ, იგუფს აპირებდნენ აჭარაშიცო. ფილმში ერთ-ერთი ბრალდებული ამბობს, რომ მას დებურძენი შევიდა დაავალა აბაშიძის მოკვლა და მატერიალურ კეთილდღეობას შეჰპირდა.

- კონკრეტულად, თქვენი პარტიის კანდიდატები რა მდგომარეობაში იყვნენ?

- როგორი იყო თავად არჩევნების შედეგების სტატისტიკა?

- სამწუხარო სტატისტიკაა. უბნებში 93%-ზე მეტი ამომრჩევლის გამოცხადებით ფალსიფიკაცია აშკარაა. საქართველოში ასეთი მაღალი მონაცემები ჯერ არ ყოფილა. ხულოს საარჩევნო ოლქებში ხმები მხოლოდ "აღმოსავლეთის კავშირმა" აიღო, გერმანიის კომპარტიამ 20-25 ხმა მოაგროვა, ჩვენ კი არც ერთი. გვაქვს დოკუმენტური მასალა, რომ მონაწილე პარტიებმა ყველა უბანზე რამდენიმე ხმა მაინც მიიღეს. შედეგით კი გამოდის, რომ პარტიის წევრებმა ხმა საკუთარ თავს არ მისცეს. ბათუმის ოლქში, სხვათა შორის შედარებით, გაუქმებულ ბოულეტენთა რაოდენობა განუზომლად დიდია. ასევე ბათილად ცნეს ბოულეტენები ხელგაჩაურის იმ ოლქებში, სადაც კონკურენტუნარიანი კანდიდატები გვყავდა. ბათუმში ყუთუბიდან ამოღებულ ბოულეტენთა რაოდენობა 10-12% აღწევს. ეს ფაქტები ფალსიფიკაციაზე ნათლად მეტყველებენ.

- როგორ შეაფასებდით არჩევნების პოლიტიკურ შედეგს?

- ჩვენ თავის დროზე შემოვიტანეთ შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლების ტერმინი. მანამდე კი შევარდნაძე-კიტოვანი-სიგუა-იოსელიანის ოთხთა კავშირი გახლდათ. 5 ნოემბრის არჩევნების შემდეგ, არაოკუპირებულ ტერიტორიაზე გამოჩნდა შევარდნაძე-აბაშიძის ხელისუფლების კონტურები. 22 სექტემბრის შემდეგ კი ეს კავშირი ფორმალურადაც მხილებულ იქნა. საქართველოს კოალიციისა მოქალაქეთა და აღმოსავლეთის კავშირები, რომლებიც უმრავლესობას ქმნიან.

ასევე ერთიანი პოლიტიკური ძალაა აჭარაშიც. სადაც მოქალაქეთა კავშირის უმრავლესობა აბაშიძის ხელისუფლების

- მათზე დიდი დროა მიდიოდა. უშიშროების სამსახურის თანამშრომლები სახლებში უფარდებოდნენ და სამსახურიდან გადგებით და სხვა საშუალებებით ეშუქებოდნენ. რამდენიმე კანდიდატმა ამას ვერ გაუძლო და თავანთი კანდიდატურები მოხსნეს.

წინასაარჩევნო შეხვედრისას ხელგაჩაურში, აბაშიძემ ამომრჩევლებს უთხრა, თუ რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს, ზგამსახურდასავით დავამხოთ. ეს სიუჟეტი ტელევიზიამაც გადასცა. შექმნილ მორალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ატმოსფეროს გაანალიზებით, ნათელია მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან 1991 წლიდან მოყოლებული აბაშიძის ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას ძირითადად "რესპუბლიკელები" ვუპირისპირდებოდით. ასეთი იყო წინასაარჩევნო ფონი.

- თავად არჩევნების მიმდინარეობაზე რას გეტყვით?

- არჩევნების დღეს ამომრჩევლებზე ტოტალური ზემოქმედება განხორციელდა. უწყებების ხელმძღვანელებს მიკროფონს უკლებით მოჰყავდათ ამომრჩევლები. ხმის მიცემის ინსტრუქციებს აძლევდნენ და უკანვე მი-

ჰყავდათ. ფალსიფიკირება არჩევნების დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. აღმოსავლეთის კავშირის გარდა 5%-იანი ზღვარი ვერაფერს გადალახა. მაშინ ხელისუფლებამ ეს ბარიერი-გაერთიანებულ კომპარტიას დაძლევინა. ამიტომაც აღმოჩნდა ქედის ორ ოლქში მათთვის საკმარისი ხმათა რაოდენობა.

- ასეთ გარემოებებში ჩატარებული არჩევნები როგორ იმოქმედებს საქართველოს საერთო პოლიტიკურ ვითარებაზე?

- საქართველოსთვის ეს არჩევნები ძალიან მძიმე შედეგებით დამთავრდა. აჭარის ხელისუფლება რუსეთისთვის იარაღის საქართველოს რესპუბლიკისა და ციხისათვის. ეს გვემა ითვალისწინებს მთელს ტერიტორიაზე რესპუბლიკების აღმოცენებას თავანთი პრეზიდენტებითა და პარლამენტებით, რითაც ფაქტურად დამოუკიდებლობას მოიპოვებენ. გახსოვთ, ალბათ, არჩევნების წინ აბაშიძე აქტიურად აცხადებდა, რომ აჭარის სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო. გვაქვს ინფორმაცია, რომ კონსტიტუციაც მზადდება.

ამ ანტისახელმწიფოებრივ აქტს ვერ მოგერიებთ, ვინაიდან დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება ამ უკანონობის თანამონაწილედ მოგვევლინა.

დავით ბერძენიშვილი: ფაქტები ფალსიფიკაციაზე ნათლად მეტყველებენ

სტრუქტურათა წარმომადგენლები არიან.

აბაშიძემ შემთხვევით არ თქვა, რომ მოქალაქეთა კავშირს არჩევნებში დამოუკიდებლად გამარჯვების შანსი არ ჰქონდა. ეს საქართველოს ხელისუფლებისადმი შექარა და გასდის კიდევაც. საინტერესოა ისიც, რომ მოქალაქეთა კავშირის 20%-იანი წარმომადგენლობა, აბაშიძის ალიანსისთვის, მხარეთველი პარტიის რეგისტრაციის არაადეკვატური გამოვლინებაა. გამოდის, რომ მოქალაქეებს აჭარაში პოლიტიკური ძალა არ ჰქონია და არჩევნებში იგი აბაშიძემ ხელგაწურად გაიყვანა.

- როგორ ფიქრობთ, სანამდე გასტანს შევარდნაძე-აბაშიძის ალიანსი?

- ძნელი სათქმელია. ვფიქრობ, შევარდნაძეს იმდენად არ ეშინია აბაშიძის, რომ ასეთ დათმობებზე იძულებით წასულიყო. ამ ეტაპზე შევარდნაძეს სჭირდება აბაშიძე, ხოლო ამ ურთიერთობებს რუსეთი კარგად იყენებს. ჩანს, აჭარის ხელმძღვანელმა შუამავლის როლი უნდა ითამაშოს. აჭარაში რუსეთს მეტი გავლენა აქვს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე მზადდება მძიმე ფედერალიზაცია.

- აბაშიძისთან თქვენი პარტიის კონფლიქტის მოგვარება თუა შესაძლებელი?

- ჩვენი დაპირისპირება სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციითაა გამოვლინებული. აბაშიძე რუსეთზე ორიენტირებული და სხვაში ვაწვერიანების მოსურნე თავადანე იყო. მას თბილი ფინანსურ-პოლიტიკური და სხვახეობის ურთიერთობები აქვს აჭარაში განლაგებულ რუს სამხედროებთან.

აბაშიძისთვის მისაღებია, რომ ოთხი წელი უზენაეს საბჭოს არ უშუშავია. ხელისუფლება უზურპირებული აქვს. ჩვენ კი გვინდა, პოლიტიკური ურთიერთობები კანონიერების ფარგლებში მიმდინარეობდეს.

ჩვენთვის ასევე უცხოა აბაშიძის ღრმა პროვინციალიზმიც.

ეს დაპირისპირება 1991 წლიდან მომდინარეობს, როდესაც ზგამსახურდამ აჭარის უფროსად კანონდარღვევითა და მუშტით დასვა აბაშიძე. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ, ბათუმში ტერაქტების სერიის დაიწყო. ავთენტურად შეტანილი, გაიტაცეს თანდასამთხვე და ავთ. ბერძენი აბაშიძის ხელისუფლებისათვის ჩვეულებრივი ამბავია - ვინც მასთან არ არის, იგი მტრად ცხადდება. აჭარაში ავტორიტარული რეჟიმის მიკრომოდელია. კონტროლდება ეკონომიკა, არ არსებობს სასამართლო ხელისუფლება; პოლიტიკური პლურალიზმი აკრძალულია და არჩევნებშიც მხოლოდ რამდენიმე წუთით ვლინდება. პოზიციას მხოლოდ ჩვენ გამოვბატავთ, თორემ სხვა პარტიები რამდენიმე მანდატისთვის რიგში დგანან, რომლებიც აბაშიძემ მოატყუა.

- რას იტყვით უცხოელ დამკვირვებელთა და უზენაესობაზე?

- აბაშიძემ სასაკლავო არგუმენტი მოიყვანა, თითქოს აჭარის კანონში არ წერია მათ დაშვებაზე. სინამდვილეში საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტში ნათქვამია - საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებზეც საქართველოს ხელი აქვს მოწერილი, მიიღეს მის ტერიტორიაზე ვრცელდება. ამიტომ, სამართლებრივ თვალსაზრისით, ეს მოტივი აბსურდულია. უცხო მეთვალყურეები ზედმეტნი იყვნენ, ვინაიდან ყველაფერს კარგად დაინახავდნენ.

ამ არჩევნებმა გვიჩვენა, რომ აბაშიძე რუსეთის ინტერესების დამცველია.

მოაგზაუბ
გუბაზ მებრძოლები

კერძო საკუთრების დაცვის ღირსი სოლიდარობას უცხადებს ბაზემ «7 დღეს»

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ღირსი პრეზიდენტმა რეკონსტრუქციულ უკმაყოფილება გამოთქვა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ - გაზეთ „7 დღის“ წინააღმდეგ მიმართული სტატიის გამო. „ეს არის მორიგი მცდელობა დამოუკიდებელი თავისუფალი პრესის დისკრედიტაციისა“ - განაცხადა მან. ასეთი სახის გამოხატულების თავიდან ასაცილებლად რეკონსტრუქციულ მიზნით მოქალაქეთა აქტიური პროტესტის ისეთი უმტკივნეულო ფორმის გამოყენება, როგორცაა უარის თქმა „საქართველოს რესპუბლიკის“ შექმნაზე, „თუ ეს აქცია სახელმწიფო დოტაციასზე მყოფ გაზეთს ფინანსურად ნაკლებად დააზარალებს, მკითხველის დაკარგვის სახით მიყენებული მორალური ზარალი შეიძლება კარგი მაგალითი გახდეს სხვებისთვისაც, რომლებიც დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე შეწოდებულნი არიან“ - აღნიშნა რეკონსტრუქციულმა (იფრინდა).

გუნებრივი ამრი - იფრინათი სიამოვნება

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში „თბილისი“-ს ტრესტის მმართველმა ვანა შვილა განაცხადა, ბუნებრივი აირის მისაღებად მზადაა ვარკეთილის, თეშისა და გლდანის დასახლებებში მაცხოვრებელი 1300 ოჯახი.

ამ ეტაპზე ვარკეთილის ზედა პლატოზე ბუნებრივ გაზს დებულობს 285 ოჯახი, თეშის დასახლებაში - 170.

ქალაქის მასშტაბით ბუნებრივი აირი მიეწოდება სასიცოცხლო დანიშნულების 46 საწარმო-დაწესებულებას. მათ შორისაა ხუთი პურის საცხობი ქარხანა, მე-2 და მე-4 სამშობიაროები, სამხედრო პოსტიკალი, საკონდიტრო ფაბრიკა, რძის ქარხანა, ლუდის 2 ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა, „გოკა“-კოლა კავასიონი, ფირმა „ლალიძე“, მაუდ-კამოლის კომბინატი და სხვა. (იფრინდა).

გაქვითვები აქცია ინფორმაციის ხილვა

გაქვითვის ხილვა მიმდინარეობს მფლობელთა აქცია (5 ათასამდე აქცია) - რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის მოთხოვნით. აღნიშნული აქცია 27 სექტემბერს, ზუგდიდის ცენტრში გამართული მიტინგის გაგრძელებას, რომელშიც აფხაზეთიდან ლტოლვილებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც მონაწილეობდა. როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის გახდა ცნობილი, იმავე დღეს, 16 საათის შემდეგ, მიტინგის მონაწილეებმა ხილვა გადაკეტეს მოძრაობა და დადგეს კარები. აქციის ხანგრძლივობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პარლამენტი 1-2 ოქტომბერს, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. (იფრინდა).

კი, ბატონო, ჩვენ კომუნისტები თქვენ ანტიკომუნისტები - მოგვინათ «პრეპალი პაპიდა». და, კითხვებზე განსაჯოს!

ამ მოთხოვნით მობრძანდა რედაქციაში ავტორი, რომელსაც მეტისმეტი კომუნისტური სულიკვეთების გამო (1921 წელს ნიუ-იორკში არმიის შემოსვლას საქართველოს ბედნიერების დასაწყისად თვლიდა) წერილი არ დაუბეჭდეს.

კომუნისტურ ხანაში დისპუტების მეტი რა ეწყობოდა, სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციებს ჰქონდა ნალექილი მთელი ქვეყანა, მაგრამ ის კონფერენციები და ის დისპუტები ისეთივე „ჩარჩოებში“ გახლდათ მოქცეული, როგორც ყველა და ყველაფერი იმ დროში.

ვფიქრობ, კომუნისტებთან დისპუტი დღეს ერთობ საინტერესო იქნება, სხვა თუ არაფერი, იმ ნიშნით მაინც, საკუთარი თვლით რომ ვიხილავთ ცოცხალ ადამიანებს, რომელთაც დღესაც მამასავით უყვართ, ვთქვათ, ლენინი.

ქვემოთ გთავაზობთ განმცხადებლის ტექსტს და მას და მის თანამოაზრეებს, ასევე დისპუტზე დასწრების მსურველებს ვაუწყებთ, რომ მობრძანდნენ რედაქციაში, „მრგვალ მაგიდასთან“ ხუთშაბათს, 16 სთ-ზე.

დისპუტის შედეგები შეუკრებლად და შეუმცირებლად გამოქვეყნდება გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე.

ბაზემ „საქართველოს“ მთრეპატორს ნ. ბრიგალაშვილს, მკითხველის, თენგიზ თევზაძის (საპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი) განცხადება

გავეცანით თქვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილს სათაურით „ანუ ისევ წითელი ჭირისა“ გამო, რომელიც ტენდენტურად, უკომუნისტოდ არაობიქტურად აღწერს ჩვენს უახლოეს წარსულს. ამ წერილის საპასუხოდ ჩვენ მოგმართეთ წერილით, რომელშიც ძირითადად ახსნილი და განხილული იყო ჩვენი ხალხის დღევანდელი უმძიმესი მდგომარეობა და მისი მიზეზები. თქვენს მიერ უარი იქნა თქვენი ჩვენი წერილის გამოქვეყნებაზე.

ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგეწყვიტოთ კრიტიკული მადეა და ვისაუბროთ პირდაპირ, სადაც გულდასა და ვიტყვით ჩვენს სათქმელს, ვიტყვით, თუ როდის ჰქონდა სინამდვილეში ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ხალხს ჭირი და გაჭირვება, დღეს თუ გუშინ. კი ბატონო, ჩვენ - კომუნისტები. თქვენ - ანტიკომუნისტები. მოგეწყვიტოთ „მრგვალი მაგიდა“. და, მკითხველმა განსაჯოს.

დღეს ბევრს კამათობენ იმის თაობაზე, რუსეთი უდრის ერთს, თუ რუსეთი უდრის ორს. პირადად მე ამ განტოლების ამოხსნას ვერ ვიჭებო. ის, რაზეც ამ წერილში იქნება საუბარი, დღევანდელ დღეს არ ასახავს, მაგრამ ვფიქრობ, მინც ეხმიანება წამოჭრილ საკითხს.

1978 წელს რუსეთის სახალხო-მონარქიული მოძრაობის კალიფორნიის განყოფილებამ გამოსცა ივან სოლონევიჩის ნაშრომი „სახალხო მონარქია“. აი, რას წერს ივან. მე, რას ვფიქროვებ, რუსი იმპერიალისტი ვარ ისევე, როგორც თითქმის ყველა რუსი ადამიანი. როდესაც მე საჯაროდ პირველად გამოვხატე ამ ეროვნულ სისუსტეში, „გოლოსა როსისი“ ზოგიერთმა მკითხველმაც კი დაიმორცხვა - აჰ, ეს როგორ, აჰ, ასე ხომ არ შეიძლება, აჰ, ჩვენზე განწყობებიან ყველა დანარჩენები...“ ხალხს, როგორც ჩანს, მიაჩნდა, რომ მსოფლიოს უდიდესი იმპერიის შექმნა შეიძლებოდა ხასიათის, ასე ვთქვათ, იმპერიალისტური თვისებების გარეშე და რომ როგორღაც შესაძლებელია ამ იმპერიის არსებობის დაფარვა უცხოელთა შურისი მზერისაგან. გარდა ამისა, რუსი ინტელიგენცია განწყობილი იყო რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ არა ყველა დანარჩენის წინააღმდეგ. სოლონევიჩის აზრით, რუსი ინტელიგენცია ერთგულია თავისი ანტირუსული განწყობილებისა.

1992 წლის თებერვალში, როდესაც რუსი მოხალისეები წამოვიდნენ „სამხრეთ ოსეთში“ რუსეთის სამხრეთი საზღვრების დასაცავად, მე გაზეთ „სფობოდანია გრუზიას“ ფურცლებზე გავეცანი მკითხველებს სოლონევიჩის ზემოთ მოყვანილი ციტატა და რუს ინტელიგენტებს მოუწოდებდა, რომ გამოეხატათ თავიანთი პოზიცია წერილის იმავე გაზეთში გამოქმენაზე რეპორტის უცნობი ქალბატონი დ. კუზმინოვა, რომელმაც აღმოუჩინა გამოთქმა თავისი თანამემამულეების მოქმედების გამო. ი. სოლონევიჩი თავის ნაშრომში კავკასიულებსაც გვეხება და ჩრდილო-აშერიკელ ინდიელებს გვადარებს. ამის წაიკითხვა იმდენად გულ-

საქართველოში პარლიამენტები თამაში: ერთია თუ ორი?

საკეტია, რომ მე მაშინ განზრახ დავხოვე მკითხველი და ამ საკითხზე დღემდე ვამჯობინებ. მოგუხმინით სოლონევიჩის და შემდეგ თავად გამოვტანოთ დასკვნა: „ჩრდილო-აშერიკელი ინდიელები მთელი თავისი კუბრისული რომანტიკულობის მიუხედავად, ვერ ავითარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ. ისინი ხოცავდნენ ერთმანეთს, თანაც სულ არაფრისთვის და პენიდათ მშვენიერი ჩვეულება თავიანთი დატყვევებული თანამომეტა ლიკვიდაციისა რომანტიკულ წამების ბოძთან“. ეს, საბოლოოდ ჯამში, არაფერს აწყობდა, რაღაც ამის მსგავსი ხდებოდა კავკასიაში. უკვე ჩემ თვალწინ, ჭათურის პიდროსადგურის მშენებლობის დროს, „პრორაბები“ ვერაფრით ვერ ითანხმებდნენ მეზობელი ტომების წარმომადგენლებს იმაზე, მათ თავისი ხანჯლები ბარაკებში დავტოვებინათ. მიწის სამუშაოებზე ხანჯლები ბარაკებში დატოვებინათ. მიწის სამუშაოებზე ხანჯლები არაფრისთვის არ არის საჭირო. მაგრამ ვერცერთ ჩემს ვერ წარმოვადგინა შეუარაღებელი ურთიერთობა რომელიმე უზბეკთან (როგორც ჩანს, ისოლონევიჩის უზბეკურ კავკასიელი „ტომი“ ჰგონია - მ.ხ. აი, დავრჩები ხანჯლის გარეშე და მომკლავნ. მოიძებნა კომპრომისი. ხანჯლებს აწყობდნენ ერთ-ერთ ბარაკში თითოეული ტომის არჩეული წარმომადგენლის მეთაურობით. ქვემო. ხოლო იმისათვის, რომ არჩეულებს არ დაეკლათ ერთმანეთი, მათ ზედამხედველი დაუნიშნეს რუსი იმპერიალისტებისაგან.

იმპერიალისტი ისოლონევიჩის პოზიცია ნათელია და ჩვენ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ხომ არსებობს სხვაგვარი პოზიცია? ხომ არსებობდნენ და არსებობენ ადამიანები, რომელთათვის უცხო იმპერიალისტური ზრახვანი? თეო-

რიულად თუ ვიმსჯელებთ, ამის საუკეთესო მაგალითი უნდა იყოს ცნობილი რუსი ქალი, ელენე პეტრეს ასული ბლავატსკაია, რომლის თეოსოფიურმა მოძღვრებამ მთელ მსოფლიოში პიოგა გავრცელდა. 1875 წელს მან ნიუ-იორკში (მას ამერიკის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული) დააარსა თეოსოფიური საზოგადოება, რომლის ცენტრი მადიდ ინდოეთის პატარა ქალაქ ადარში იქნა გადატანილი. სადაც დღესაც აგრძელებს მოქმედებას. ამ საზოგადოების განყოფილებები კი უკვე 60 ქვეყანაში არსებობს. აი მათი დეკლარაცია: „საზოგადოების მიზნები - ადამიანების მსოფლიო მშობის ბირთვის ჩამოყალიბება განურჩევლად რასის, სარწმუნოების, სქესის, კასტის ან კანის ფერისა; რელიგიის, ფილოსოფიის და მეცნიერების შედარებითი შესწავლის ხელისშეწყობა; ბუნების აუხსნელი კანონებისა და ადამიანის ფარული შესაძლებლობების კვლევა“.

ელენე ბლავატსკაიას გარკვეული პერიოდი საქართველოში აქვს გატარებული. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი გატარებული იყო სპირიტუალური და მისი სიყვარული დიდ ინტერესს იწვევდა. ნიკო ნიკოლაძე ბლავატსკაიას შესახებ წერდა: „ეს იყო 1863 წლის გაზაფხულზე, ქუთაისში. მაშინ იგი მარცხობრობდა ქუთაისში და აყვებდა ადგილობრივ მწერლებსა და ოუნკებს“. ბლავატსკაია მედიუმის როლში გამოდიოდა. უნდა ითქვას, რომ შემდგომში მან თავად დაგმო თავისი საკუთარი და მედიუმობა მიიჩნია არა მხოლოდ ადამიანური ღირსების დამაცირებლად, არამედ ჯანმრთელობისთვისაც მეტად საზიანოდ თავის მრავალრიცხოვან სტატიებს და დიდტანინ შრომებში იგი ადამიანებს და ხალხებს ძმობისა და ერთობისაკენ მოუწოდებდა. როგორც

ვხედავთ, მის მოძღვრებაში იმპერიული არაფერია და მაინც... ჩვენ წინაშე ბლავატსკაიას მიერ 1887 წელს ნაფაქცივად მიწერილი წერილი. შეუძლებელია გაკვირვების გარეშე წაიკითხო, თუ როგორ ძლიერ სწავდა თეოსოფის ქალს რუსეთის გაგლეხის სფეროს გაფართოება და როგორი ღრმა მწუხარებით დასტურის იგი რუს რეაქციონერ ტურნალისტს, შავაზმელ მიხეილ ნიკოლოვის ძე კატკოვს! „დიდ მწუხარებაში ვარ! კატკოვის სიკვდილმა პირდაპირ რაღაც ბურუსით მომიკვია... თითქოს მასთან ერთად მთელ რუსეთს ვასაფლავებდე“. „დრაკონიზთ იცავდა ერის ინტერესებს და მხოლოდ ახლა გაიგებენ, რა იყო კატკოვი მეფისათვის და მამულისათვის.“ რა იყო კატკოვი? 30-იან წლებში ნვსტანკევიჩის წრის წევრი იყო, 50-იან წლებში, როგორც ზომიერი დემოკრატი, ინგლისის პოლიტიკური წყობილების მომხრე, ხოლო 60-იანი წლებიდან, როდესაც ალექსანდრე II მთავრობამ ბურჟუაზიული რეფორმები წამოიწყო, კატკოვი, როგორც ჩამოყალიბებული რეაქციონერი, წინ აღუდგა პროგრესისაკენ მიმართულ რეფორმებს. 1865 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ, რეაქციონერი კატკოვი გადადის აშკარა ნაციონალიზმისა და შოუნიზმზე. იგი იყო ალექსანდრე III მთავრობის რეაქციული პოლიტიკის ფარული სულისჩამდგმელი. იბრძოდა საქართველოს კოლონიზაციისათვის. „დაიღუპა რუსეთი! დაკარგა თავისი საუკეთესო დამცველი და მეგობარი, თავისი ბუნადი პოლიტიკის ველზე“. - მოსთქვამდა ბლავატსკაია. რაღასულ ჩვენები იხილებიანო - ამბობდა იგი და ღვარძლიანად დასძინდა: „ხომ არ ჩაიხოცებიან ბისმარკი, ბატენბერგი, ბულგარელი რეგენტები ან სოლსბერი და სხვანი, არა?“ ამ ფრაზაში ნათლად ჩანს ბლავ-

ატსკაიას დამოკიდებულება ბულგარეთის კრიზისთან (1885-1887) დაკავშირებული მოვლენებისადმი. ბულგარეთი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. სამხრეთ ბულგარეთის, ე.წ. „აღმოსავლეთ რუმელიის“ მოსახლეობა დიდ ჩაგვრას განიცდიდა პორტის მხრიდან. იგი მოკლებული იყო სიტყვის, კრებების, პეტრიციების წარდგენის თავისუფლებას. მას არ შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა სამეურნეო საკითხები. ბულგარელი ხალხი გაერთიანებისკენ ისრავდოდა. 1885 წლის სექტემბერში აღმოსავლეთ რუმელიის ქალაქ ფილიპოპოლში (პლოვდივში) იფეთქა აჯანყებამ. თურქი გუბერნატორის მთავრობა დაეწხო. გამოცხადდა ბულგარეთის გაერთიანება. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ბატენბერგი. დასავლეთის სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს ბულგარეთის გაერთიანებას. მათი ხელშეწყობით დაიდო ბულგარეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომლის შედეგად ბულგარეთი გამოდიოდა რუსეთის კონტროლიდან და თურქეთი მოკავშირე ხდებოდა, რაც აძლიერებდა ბულგარეთში ავსტრიისა და ინგლისის გაგლეხას. აი, რატომ ნატრობდა ბლავატსკაია ბატენბერგის და მის მხარდამჭერთა სიკვდილს. ბატენბერგი წარმოშობით გერმანელი პრინცი იყო. სხვათაშორის, ახლა ამ დინასტიის წარმომადგენლები ინგლისში, როგორც დიდმა მთავარმა ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვმა მითხრა, მან ბატენბერგი იწოდებოდა „ბერე“ - გერმანულად ნიშნავს მთას, „მანტ“-კი ინგლისურად). მაინც რამდენი რუსეთია? ეს ართმეტიკა დიდს არაფერს მოგვცემს. რუსეთი უნდა მივიღოთ ისეთად, როგორც არის. მასხინდება დარეჯან დედოფლის სიტყვები (მისი წერილი საისტორიო არქივში ინახება). „პერე მაინც ვის შეუძლიან იმისი წინააღმდეგე, მთელი ვეროპა თავისის ძლიერებით შეატრეოთ და ჩემ შევიღებზე ვანა ვერ შეიძლება საქართველოს წართმევას, მაგრამ ჩვენ იმის იმედი გვაქვს, უსამართლოს არ ინებებს. ჩვენ ამას არსად დაფარავთ...“

მანანა ხომერიძე

მე-11 კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტაბის კონსტანტინეს მარჯვენა“

გ ა ნ ხ ი ლ გ ა

ნოღარ ბრიბალაშვილი

გაგრძელება, დასაწ. იხ. „საქართველო“ №44, 45.

„როცა ხალხს აგდენი მოვალატი შინა კმაშს, გაკალონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას!“

გარეშე მტერს მოსისხლე და ღუშმანი იმიტომაც ჰქვია, რომ იგი ყველა ხერხითა და ყველა საშუალებით გებრძვის და, კაცმა რომ თქვას, ეს კაცობრიობის სისხლიანი ისტორიის კანონ-ზომიერებაც კია. მაგრამ გარეშე წინევი ვერ შეედრება იმ დამანგრეველ ძალას, რაც შინააშლილობასა და ზნეობრივ დეგრადაციას მოაქვს ქვეყნისათვის.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ გამარჯვებულ მოკავშირეთა ჯარები პარიზში შევიდნენ, მაგრამ საფრანგეთისათვის ამ ომში დამარცხებას არ მოუტანია იმდენი უბედურება, რაც ჯერ ბურბონების გაგდებისათვის, მერმე დანტონების, მარატებისა და რობესპიერების პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვის გადახდათ ფრანგებს თავს. კაცთმოდულ რევოლუციონერთა „დემოკრატიას“ ნაპოლეონის ტირანია მოჰყვა და ამ ორომტრიალის შედეგად ათიათასობით ფრანგის თავი ფრანგებისავე ბრძანებით დაგორდა გილიოტინიდან.

ასევე იმგვარი არნახული შინააშლილობა, ძმათაგან ერთმანეთის ყუყუა, მე-20 საუკუნის I ნახევრის რევოლუციური სულით გაქვნილი საქართველოში რომ სუფევდა, ჩვენი ქვეყნის აწეწილ ისტორიასაც არ ახსოვს.

ალა-მამამად-ხანს არ შეწირვია იმდენი ქართველის სიცოცხლე, რამდენიც ბოლშევიკურმა წმინდამ საერთოდ კი არა, თითო ღონისძიებაზე შეიწირა და ეს კაცთაყვლა მართალია სხვაგან დაგვეგმილი, ისევ ქართველების ხელით ხორციელდებოდა.

რუსებს სიკვდილის ცელით ისევ ქართველები მოუძლოდნენ თანამემამულეთა დასაღუპავად. ერთი თანადროული და მწვავე თემა, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ „დიდოსტაბის მარჯვენა“ შორეული წარსულიდან გამოიხმო, ესეც გახლავთ - თემა ქვეყნის შინააშლილობისა, თვისტომთა წინააღმდეგ უცხოტომელთა მოხმობისა და ბეზლობისა.

გაიხსენეთ კვეტარის ერისთავი თალაგვა კოლონკელი იმე და ქორსატეველას ციხის პატრონი, ერისთავი მამამზე,

მისი შვილი ჭიბერი, რომელნიც ისე არ აუჯანყდებიან გიორგი მეფეს, თუ დიდოელნი, ძურძუკნი და ოგნი არ იხმეს...

პარალელი შეიძლება გაივლოს 20-იანი წლების საქართველოსთან. გაიხსენეთ შულავერის ან ოსების აჯანყება ქართველი მეთაურებით და ჩრდილოკავკასიიდან გადმოყვანილი ბრბოები...

გაიხსენეთ კრემლში მჯდარ იმპერატორებთან თბილისიდან გაგზავნილი „დანოსები“ და ფარსმან სპარსის მიერ გიორგი მეფის დაბეზლება ბერძენ კასავილასთან, რომელმაც სიტყვა-სიტყვით მოახსენა ბასილი კეისარს მათდამი ქართველთა მეფის ნამდვილი დამოკიდებულების ამბავი.


რა იწვევს შინააშლილობას, ერისთავთა პარტიკულარიზმს და ცენტრალური ხელისუფლების დასასუსტებლად თანამომქეთა შორის უშულის ჩამოგდებას. რა უდევს საფუძვლად იმ გველურ სისინს, რომლის შედეგიც ერთმანეთისაგან განგმირული ღვიძლ ძმათა სასაფლაოები და პატივყრილი ქვეანაა?

მოდიოთ, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თვალი მივადევნოთ „დიდოსტაბის მარჯვენის“ იმ პერსონაჟებს, რომელთა ქმედებამაც ათქმევინა მომავლად მეფეს - „როცა ხალხს ამდენი მოლაღატე შინაჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას“.

ამათვეთვე ვთქვათ, გამსახურდიას ხელწერა არ არის პერსონაჟთა სტემატური, დადებით ან უარყოფით გმირებად წარმოჩენა. იგი, როგორც სიტყვის დიდი ოსტადი, ისე სისხლსაყვად ადამიანის ღრმა ცოდნით ხატავს თავის გმირებს, რომ თვით მის ეწე-უარყოფით პერსონაჟთა ბედსაც განიცდის მკითხველი.

თალაგვა კოლონკელიმე

კვეტარის ერისთავი თალაგვა კოლონკელიმე ერთი იმ ტიპურ ქართველთაგანია, რომელნიც საკუთარი დიდების ტბობით იწყებენ ჭეშევრობით მართვას და თანდათანობით ამ ტბობას ხინჯად ედევნება შეგრძნება იმისა, რომ მის თანამემამულეთა შორის კიდევ მოიძიება სხვა კაცი, მასზე მეტი დიდებით შემოსილი. კაცი, რომელსაც პირველ დამახებინთანავე ჭედდადრეკილი უნდა ეახლოს და საკუთარი დიდების



უზრუნველსაყოფად ისევე უქიცინოს კული, როგორც მას მიიხვე ყმები ემოქვენელებიან.

მერე და, ვინ დაადგინა, ვინ აქცია კანონად ის, რომ სულ ის უნდა იყოს პირველი და ეს კი მის ჩრდილად იწოდებოდეს? ლირსება, პატივი, ჭკუა, სიმდიდრე, ძალა - რომელი ერთი აქვს ნაკლები ამ მეორეს პირველზე? ნაკლები კი არა, მის ხელთ რომ იყოს, ქვეყანასაც უკეთ მწყემსავდა და ხალხსაც სწორედ მისი ეწებოდა მეტი შიში და სიყვარული.

არა, პატივი არც ახლა აკლია.

მაღლა ღმერთი ჰყავს ერთი მბრძანებელი, დაბლა კი, მის სამფლობელოში, ყველასათვის თავად არის მეფეც და ღმერთიც.

ვისაც უნდა, ააშენებს, ვისაც უნდა, დააქცევს.

გაბედნიერებ ულისთვისაც სალოცავ ხატად რჩება, მისგან გაუბედურებულიც ხმამაღლა ისევ მასზედ ლოცულობს, სული რომ შეარჩინოს და მთლად ყორნების საჯიჯგნად არ გაიმეტოს...

კვეტარის ციხე-დარბაზში გამოკეტულს ერთგულად იცავენ მისი ყმანი და კაცთაგან ფეხდაუდგმელი ჭარაფები.

მაგრამ მაინც არსებობს ის ერთი, მასზე აღმატებულად წოდებული და ამდენად, მისი ტბობა დიდებით სრულყოფილი ვერ არის. სრულყოფილი კი არა, ხანდახან შიში წამოუყვლის ამპარტავან ერისთავს რომ შეიძლება მეფეს მისი მამულების სხვისთვის ბოძება მოეხსიანოს.

ხომ შეიძლება მის ერთგულ ჭეშევრობაში ეჭვი შეეპაროს და გზიდან ჩამოიცილოს. ჯერ არ უჭნიათ მეფეებს ამგვარი რამ თუ რა.

ამგვარი ფსიქოლოგიური განწყობილება, ერთის მხრივ, მეფისადმი პირფერობაში აჯიბრებს სხვა პირფერებთან, მეორეს მხრივ, ბაღებს იმ წინაპირობას, როცა ჭეშევრობი მუდმივად მზად არის ზურგში მახვილის ჩასაცემად და მბრძანებლისაგან გასათავისუფლებლად. თუ ამ განწყობას ისიც დაერთო, რომ უფრო ძლიერი მფარველი გამოუჩნდა, უცხო და შორეული, ავადმყოფობადაქცეულ პატივმოყვარეობას სარტყელი ედებოდა. თუ მორჩილებაა, სჯობს შორეული მბრძანებლის მორჩილებაში იყო, ვიდრე იმისა, ვინც ცხვირწინ გიზის და მუდმივად უნდა შეჰყურებდე თვალზე ში...

მყისიერი ფიქრი და არც-თუ უსაფუძვლო, რაც გიორგი მეფეს გაუძლავდა, როცა ფხოველთა აჯანყება შეიტყო, ის იყო, თუ ვისი იმედით სჩადიოდნენ ამას თალაგვა, მამამზე და ჭიბერი. ვინ იღვა მათ ზურგს უკან, სარკინოზთა ამირა, თუ ბიზანტიის კეისარი?..

ამბოხებისათვის კოლონკელიმე და მასთან შეთქმულთა საბაბიც ჰქონდათ - მეფე ქრისტეს სჯულს ახვევდა თავს მთიელებს, როცა მათ საკუთარი, მამა-პაპური ბომონები ეგულვოდათ სალოცავ კერპებად.

აზტავდნენ ფხოველნი, გაბოროტდნენ ხევისბერები, ისინი ხომ წინაპართა სარწმუნოე-

ბას იცადნენ, ვი მათოლობი იყვენ საკუთარი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში...

დიდი რელიგიების შემომქმედთ - ბუდას, მოსეს, ქრისტეს, მუჰამედს, ვინ იცის შეძრწუნების როგორი გრძნობა მოიცავდათ, რომ ეხილათ, ადამიანები რა ალტკინებით თესავდნენ სიკვდილს მათივე სახელით.

მამა-პაპათა რჯულს გვეცილებიანო - აიყოლია ხალხი და ჭარაფებიდან გადააყრევინა ფხოველთ საკუთარი თანამომქენი - ქრისტიანენი.

პირველი ამბოხი ეპატია თალაგვას, მეორედ კი მწარედ დასაჯა მეფემ.

მისივე ციხე-დარბაზში დამარცხებულ ერისთავს ისე გულგრილად დაადო თბილისელმა ჯალათმა საღირამ ორთავ თვალზე ორ შამფურზე წამოცმული ორი გაავარარებული პატარა ფირფიტა, თითქოს მახათით ორ ფოლაქს აბნევდა თალავარს.

რამდენიმე წუთის წინ ლამაზ და თაფლისფერთვალეობა, ჯერაც ახალგაზრდა ერისთავს, ახლა უკვე თვალბმომანთულსა და წუთიერად გათვრებულს, ერთიც არ დაუკენესია, ისე გადაიტანა გაუგონარი ტანჯვა... რისთვის შევლია ასეთი ვაჟაკის ძალისხმევა საკუთარი მეფის წინააღმდეგ ბრძოლას?

წინაპართა რჯულის შენარჩუნებისათვის?

მეორე ამბოხის შემდეგ მის საერისთავოში მობრძანებულ მეფეთა-მეფეს გულმომწყალება შეამჩნია თალაგვამ, იმედი გაუჩნდა გადარჩენისა, გადარჩენის კი არა, უფრო წარმტაცმა ილუზიებმაც გაიტაცა - იქნებ მართლა უყვარსო გიორგი მეფეს შორენა, იქნებ მის ხელს მთხოვდესო და ამ ფიქრმა კოლონკელიმე ახალი პერსპექტივები გადაუშალა, სასახლის კარზე აღზევების. აღარ მოეწონა თალაგვას შეთქმულთა დანახვა. ერთ წუთში გამოიკვალა მემამოხე და ფიქრით უკვე მეფის საშველად ემზადებოდა მის მტერთა ზედა...

ამ ფიქრმა გასცა აქამდე ურჩი ერისთავის ჯანყის ნამდვილი მიზეზი.

აკი წინაპართა რელიგიის იცავდა აქამომდე?

მისგან წასისინებული ათასობით ფხოველი კი იწვა მიწაში და არ იცოდა არცერთმა მათგანმა, სინამდვილეში წინაპართა რჯულს კი არა, საკუთარ პატივმოყვარეობას რომ შესწირა ისინი მათივე ერისთავმა.

ეს სიუჟეტი მკაფიო სურათთა შინააშლილობის ერთი მიზეზისა - როცა ხალხის ბედი ავადმყოფობამდე მისული პატივმოყვარე მმართველის ხელთაა, ეს ხალხი ეულკანზე ცხვორობს, რომელიც ამოიფრტყვა მაშინ, როცა ამას პატივმოყვარე მმართველი თავისთვის ჩათვლის საჭიროდ.

შრანაშული პრესილან ბავშვების გაბტასობელი

9 აბვისტოს, საღამოს 10 საათზე ლეტიცია დელევი, 14 წლის ლამაზი გოგონა, ბერტრიქოსი, ვალონის ერთ-ერთი ქალაქის, აუზს ტოვებს და ფეხით გაუფრთხილად შინსკენ მიმავალ გზას უცებ მის გვერდით ავტომანქანა ჩერდება. „ავტომობილისტა შეჯიბრი ამ შაბათ-კვირას ტარდება?“ - ხმადაბლა კითხულობს მძღოლი. ლეტიციას კითხვა არ ესმის და მანქანის ფანჯრისკენ იხრება. ერთაშად ვიღაცა ზურგიდან მივარდება, პირზე ხელს აფარებს და მანქანაში შეთრევს.

მანქანა 130 კილომეტრზე მდებარე პატარა ქალაქ მარსინგისკენ მიემართება. გამტაცებლები აბოხლებენ გოგონას ძილის წამლები გადაყლაპოს ლეტიცია პატარა ბნელ საკუჭნაოში იღვიძებს. მის გვერდით პატარა გოგონაა: იმ უკვე ორი თვეა 12 წლის საბინ დარდენი ამ თაგვის სორშია გამოკეტვილი. იგი ქვეყნის კიდეში მდებარე ქალაქიდან გაიტაცეს 1996 წლის 28 მაისს. გოგონები, რომლებსაც კისერზე და ფეხებზე ბორკილები დაადეს, ზოგჯერ სამალავიდან გამოჰყავთ და ზედა საართულზე აბოხებენ. მთელი დღეების განმავლობაში ბავშვები ხმელა პურზე და წყალზე ვადადიან. ზედა საართულზე კი საშინელება იწყება: ბავშვებს ჯგუფურად აუბატოურებენ. წამებას 15 აგვისტოს ეღება ბოლო. უანდარმები გოგონებს ანთავისუფლებენ. მათი გამტაცებლები ორი დღის წინ დააბატომრეს.

მას მარკ დიუტრო შქეია, იგი 39 წლისაა. იგი უმუშევარი ელექტრიკოსია და სამი ბავშვის მამაა - უფროსი თორმეტი წლისაა, შუათანა ხუთის, უმცროსი კი მხოლოდ თორმეტი თვისაა. მარკმა უკვე ერთხელ მოიხადა სასჯელი მკორელოვანთა გაიტაცებისა და გაუპატოურებისათვის. ამჯერად, მთელმა ბელგიამ შეიტყო, რომ მან უფრო შორს შესტოვა. დიუტრომ აღიარა, რომ 1989 წლიდან

მთელი ბელგიაში მომხდარი 15 გატაცებიდან ექვსი მაინც (ან შვიდი) მის და მის თანამონაწილეთა კისერზეა. ლეტიციასა და საბინას გარდა, მან გაიტაცა და შემდეგ სასიკვდილოდ გაწირა ორი რვა წლის გოგონა და კიდევ ორი, 17 და 19 წლის ქალიშვილი. ის, ვისაც დღეს „ურჩხულს“ უწოდებენ, მხოლოდ სულით ავადმყოფი არ გახლავთ. იგი ნამდვილი ბოროტმოქმედი, რადგანაც მოზარდებით მოვაჭრე საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ „მწოდებლად“ შეიძლება ჩაითვალოს მარკ დიუტრო, გამოძიებულთა აზრით, „ჯეკიანი, ცინიკური და გარყვნილი“ ადამიანია. მაგრამ, მიუხედავად ჯეკისა, უბრალო მოყვარულივით გაება მანუში. 13 აგვისტოს, ლეტიციას გაუჩინარებიდან ოთხი დღის შემდეგ, ორი მოწმის ჩვენებამ ბერტრიქოსის უანდარმები ცხელ კვალზე დააყენა. ერთი მონაზონი ქალი და სტუდენტი ვაჟი მოწმენი გახდნენ თეთრი მანქანის უცნაური მანევრებისა. ეს გატაცებიდან რამდენიმე საათი ადრე მოხდა. საბედნიეროდ, სტუდენტმა მანქანის ნომრის რამდენიმე ციფრი დაიმახსოვრა. მანქანა ვინმე მარკ დიუტროს ეკუთვნოდა. კომპიუტერმა დააზუსტა, რომ ამ კაცმა, მკორელოვანთა გაუპატოურებისათვის, უკვე ერთხელ იწყენა პატიმრობის გემო. დიუტრო მყისვე დააკავეს. მისი მეუღლე, მიშელ მარტენი და მიშელ ლელივერი, სწორედ ის უცნობი, რომელმაც ლეტიცია მანქანაში შეათრია, თანამონაწილეებად გადაიან. იმავე დროს კიდევ ორი ადამიანი დააბატომრეს.

1989 წელს სასამართლომ დიუტროს 13 წლის პატიმრობა მიუსაჯა. 1992 წელს, „სანამუშეო ყოფაცქვისათვის“ იგი ვადაზე ადრევე გაათავისუფლეს: ბელგიური კანონი ამასაც ითვალისწინებს. დიუტროსათვის ახალი იდუმალი ცხოვრება იწყება.

ცოლ-ქმარი უმუშევარია, მაგრამ ისინი საკმაო ქონებას ფლობენ: ხუთი სახლი ბელგიაში, ერთიც დომინიკანთა რესპუბლიკაში, კიდევ თხუთმეტამდე

ნახევრადინგრუელი საცხოვრებელი და რამდენიმე გარაჟი. 1994 წელს დიუტრო, ერთ მილიონ ფრანკად ყიდულობს პატარა ფერმას, რომელიც მისი მუდმივი ადგილსამყოფელი ხდება. იმავე წელს იგი ცოლს ეწერა, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც მიშელი შარლეკრუას გარეუბანში სახლდება. უცნაური ის არის, რომ მუშობლების მტკიცებით, თითქოსდა გაყრილი წყვილი

რი უმოგზაურია და ბევრი ქვეყანა უნახავს: ჩეხია, პოლანდია, სლოვაკია... მეზობლები ხედავენ, რომ სახლის წინ დიუტრომ მანქანების სადგომი გააკეთა. „უკვე გვექონდა, რომ საქმე ვაჭრობას ეხებოდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ამაში ბავშვები იყვნენ გარეული“, - გვიხსნის ერთი მეზობელი. გოგონები ისე მოხერხებულად გადამაღეს, რომ ორმა ჩხურკამაც კი ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. 1995 წელს უანდარმები

8 წლის უილისა და მელისას ეჭიდნენ. დიუტრო ერთ-ერთი ეჭვიანობი იყო. გოგონები მაროლაც მის სახლში იყვნენ, მაგრამ უანდარმებმა ისინი ვერ აიპოვეს. ლეტიციას გაუჩინარებიდან მხოლოდ დღედაც უანდარმებს ხელი მოეცათ.

ორდღიანი დაკითხვის შემდეგ დიუტრომ ეს საშინელი ფრაზა წარმოთქვა: „ორ გოგონას დაგობრუნებთ“. სახლში მან უანდარმები კარადასთან მიიყვანა, რომლის უკან, კედელში, კარი იყო გამოჭრილი. კარის უკან ორი პატარა, უფანჯრო ოთახი, იატაკზე თხელი ლეიბი. სწორედ აქ მოდიოდა დიუტრო თავისი „სუანსის“ ჩასატარებლად. გაუპატოურების



ლი ეროსად ცხოვრობს. დიუტრო მიშელს თავის ნებაზე ათამაშებდა. - ყველა ერთი მეზობელი ქალი. - იგი მკაცრი, ძალაუფლების მოყვარე კაცია და ყველა მეზობელი ერთდებოდა მასთან ურთიერთობას. დიუტროს სახლის კარები მუდამ გამოკეტული იყო და მასთან მისული სტუმარი არვის უნახავს.

ღიუტროს დაბატომრებამ მთელი ბელგია შესძრა. ადამიანები მზად არიან ჩაქოლონ დიუტროს, ბევრმა ლინის წესის გამოყენებაც ითხოვა. საზოგადოება სიკვდილით დასჯის ადღენას ითხოვს. მსოფლიო კონგრესზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართება და რომელიც ბავშვების სექსუალურ ექსპლოატაციას მიეძღვნება, ეტყობა, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ მოვლენად სწორედ დიუტროს საქმეს აღიარებენ.

სცენარს და ექსპლოატაციის იდეადა. საათი საათს მიხედვით და დიუტროს ავტომედიტს ხელსარებისა და შოლისა და მელისას გვამები 3 მეტრის სიღრმეზე ჩაფლავა. იმავე საუღლავში სხვა გვამიც აიპოვეს. ეს მისი ფრანგი თანამონაწილე ვანშტაინი იყო. დიუტრომ იგი მოკლა, რადგანაც ფრანგმა მისი „გატაცება“ გადაწყვიტა. 1995 წელს მან უბრძანა ლელივერსა და ვანშტაინს მისთვის გოგონა მოეყვანათ. მას ორი არასრულწლოვანი მოჰგვარეს: უილი და მელისა. დიუტრო შეშფოთდა: ვერ ერთი, რომ ორის ადგილი არა აქვს და მერე კიდევ 8 წლის ბავშვები, ეს მართლაც მეტისმეტია. მაგრამ ბავშვები 1995 წლამდე დარჩნენ დიუტროს საკანში. ამავე წელს იგი დააბატომრეს, მან ბავშვების „ატარობა“ თანამონაწილეებს გადაულოცა. „ვიხიდან რომ გამოგვდი, ერთ-ერთი მათგანი შემშილინგან მომკვდარიყო, - ყვება დიუტრო, - მეორე, ისიც სიკვდილის პირას მისული, ხელეში ჩამაკვდა. სწორედ მაშინ მოვაკალი ვანშტაინი“ სინამდვილეში, მან ნარკოტიკით გააბრუნა თანამონაწილე და ცოცხლად დამარხა.

17 აგვისტოს დიუტრომ ანი და ვივი გაიტაცა. მათ შემდგომ ბელზე დიუტრო არაფერს ამბობს. უანდარმები კვალს მიყვებიან და უცებ, დოსიეში, ჩეხეთის რესპუბლიკა ამოტივტივდება. საოცარი დამთხვევაა, დიუტროს მეზობლები აცხადებენ, რომ იგლისაში მასთან სტუმრად იყო ორი ჩეხი ახალგაზრდა. ეჭვი იფანტება: საქმე ეხება მოზარდებით მოვაჭრე კარგად აწყობილ საერთაშორისო ორგანიზაციას.

დიუტროს დაბატომრებამ მთელი ბელგია შესძრა. ადამიანები მზად არიან ჩაქოლონ დიუტროს, ბევრმა ლინის წესის გამოყენებაც ითხოვა. საზოგადოება სიკვდილით დასჯის ადღენას ითხოვს. მსოფლიო კონგრესზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართება და რომელიც ბავშვების სექსუალურ ექსპლოატაციას მიეძღვნება, ეტყობა, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ მოვლენად სწორედ დიუტროს საქმეს აღიარებენ.

ფილოზოფი კიბემა
(„ნუშვილ რუსნარმატორი“, 28 აბვისტო, 1996 წელი).
შრანაშულიან თარბმნა ბიორბი მკიზაშვილმა



მთიურ სასაბავშლო ორბეში ძალბას ... და თქვენ მიმზიდველი იქნებოთ

ღმერთის ყველასთვის არ უბოძებია სილამაზე, რას იზამ, ეს მისი ნებაა, მაგრამ ყველა ქალს სურს იყოს ლამაზი, რა ვნაა? ჩაიხედეთ სარკეში, დააკვირდით თქვენს სახეს, სხეულს კრიტიკული თვალით. დანიხავთ ნაკლოვანებებსაც და ღირსებებსაც. პირველი: არასოდეს გამოიყნოთ კოსმეტიკური საშუალებები ბოროტად: მეორე, ნუ აყვებით მოდას ისე, რომ ამ მოდურ ტანისამოსში თქვენ სასაცილო გამოჩნდეთ; ნუ შეეცდებით კოსმეტიკური საშუალებებით, ტანისამოსით დაფაროთ თქვენი ასაკი. გასოვდეთ, რომ შეუფერებლად ჩაცმა თქვენი ასაკისათვის არა თუ გაახალგაზრდავებთ, არამედ მხოლოდ ხაზს უსვამს თქვენს სურვილს, იყოთ ახალგაზრდა; და ეს სურვილი ზოგჯერ შესაბარალისად ჩანს. დღევანდელ ჩვენს პირობებში ძნელია იზრუნო გარეგნობაზე, როდესაც გარშემო იმდენი საფიქრალია, მაგრამ გასოვდეთ, იმისათვის რომ ოჯახში, სამსახურში, ქუჩაში თქვენს მიმართ პატივისცემით განიხილალონ, საჭიროა და აუცილებელი თქვენ სასიამოვნოდ გამოიყურებოდეთ.

რჩევა პირველი: ყველაზე სათუთი მოსაუფლო და გასაფრთხილებელი სახის კანია, თუ იგი მშენიერია, მით უფრო დიდი მოვლა და ზრუნვა საჭირო მის შესანარჩუნებლად, საპირი პირი დაიბანეთ კვირაში ორჯერ ან სამჯერ; შეარჩიეთ საპირი; მოერიდეთ წითელი შეფერილობისას, რადგან იგი უფრო აღიზიანებს კანს; ყველაზე უკეთეს შემთხვევაში შეიძინეთ ფრანგული საპირი

„კამეა“, რომელიც შესანიშნავი საშუალებაა თქვენი კანის სინაზის შესანარჩუნებლად. აუცილებლად დაადგინეთ როგორი ტიპის კანი გაქვთ: მშრალი, ცხიმიანი თუ შერეული. თუ მშრალი კანი გაქვთ, მით უფრო იშვიათად იხმარეთ საპირი. აუცილებელია მკვებავი კრემის ხმარება. იმ უამრავი საშუალებებიდან, რომელიც ყოველ მაღაზიაშია, შემოიღია შემოგთავაზოთ ყველაზე ცნობილი და ყველაზე სანდო სახის კრემი „ნიევა“ ან „ფლორენა“. ეს ორივე კრემი გერმანული წარმოებისაა და აგერ უკვე თითქმის საუკუნეა შესანიშნავად ეხმარება ქალებს სილამაზის შესანარჩუნებაში. პირის დაბანის შემდეგ გადაისივით სახის კრემი თხელ ფენად, თითების ბალიშებით და თქვენი სახე მზადაა მაკიაჟისათვის. მაკიაჟის ხელოვნება ძალზე რთულია და თუ მას ბოროტად გამოვიყენებთ, სილამაზის სანაცვლოდ სიმამრებს მოვიღებთ, ასე რომ, კარგად დავაკვირდეთ თვალს. მის ფორმას, სიდიდეს, განლაგებას, სიმეტრიულობას. დიდი მნიშვნელობა აქვს სახის ფორმასაც. თვალის ჩრდილები ეწ. „წიწები“ ძალზე საინფორმაციო და ძნელი სახმარია. სასურველია მათი ხმარება მხოლოდ საღამოს საათებში, როდესაც ბუნებრივი განათება აღარაა, რადგან მზის სხივებზე უფრო კარგად ჩანს თქვენი სურვილი ჩრდილებით ნაკლოვანების დაფარვისა. ფერების არჩევნისას გასათვალისწინებელია თქვენი სახის კანის ფერი, თვალის ფერი, თმის ფერი: ქერა, ცისფერთვალეა, თეთრი კანის ფერის ქალები ისათვის მისაღებია ღია ფერების ხმარება. მუქი ფერის თვალის, თმებისა და

კანის მქონეთათვის უფრო მეტად შეუღლებია საჭირო და შემოიფარგლები მხოლოდ მუქი ყავისფერი და შავი ტონებით, რადგან ღია ფერთა ხმარებისას თქვენი მუქი კანი უფრო მეტად მუქი ჩანს. თუ თქვენი კანი არ მოითხოვს, ნურასოდეს იხმარებთ პუდრს, მით უმეტეს კრემ-პუდრს და ისიც დღისით, პომადაც ძალზე ფრთხილად უნდა შეირჩეს. ზოგჯერ იგი ზედმეტად მაკიაჟისათვის. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქალები ბოროტად იყენებენ კონტურს. კონტური ტუჩზე ოდნავ უნდა უსვამდეს ხაზს ტუჩის ფორმას და არა ისე, რომ დახატული ტუჩები მივიღოთ.

მინდა შეგხერდე თვალისათვის განკუთვნილ კონტურულ ფანქარზე იგი კარგია მაშინ, როცა გათვალისწინებულა თვალის ფორმა. თუ თვალის დაბატარაება საჭირო, ფანქარი ქვედა ქუთუთის შიდა ნაწილში უნდა წავისვით, თუ გადიდება გესურს, ქვედა ქუთუთის გარეთა ნაწილი უნდა მოვაზოთ მკრთალად. თვალის ჭრის გასაგრძობლად ზედა ქუთუთზე წაგრძობულ კონტურს იყენებენ. ნურასოდეს ნუ იხმარებთ ერთად ჩრდილებს და ფანქარს, ერთად ისინი გამოიციხებენ ერთერთს.

მოდა კაბრიზულია და აუცილებელი არაა მისი ყოველი წერტილი გათვალისწინებულ იქნეს თქვენს გარეგნობაში. პირველ რიგში იცოდეთ, რომ მოდა უნდა გამოიყნოთ თქვენი სილამაზისათვის და არა პირიქით. ამიტომ პირველ რიგში ჩაიცივით ისე, როგორც თქვენი სხეულის ფორმები გიკარნახებენ.

ფესვაცემული ძალზე კარგად უნდა შეირჩეს, რადგან მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფეხის ფორმის შესანარჩუნებლად. კლიან ფესვაცემულს, რომლის სიმალე წივებამდე, ნურასოდეს ჩაიცივებთ მოკლე კაბაზე, აბა დააკვირდით, იგი წივების სიმალეს ამოკლებს და ხაზს უსვამს თქვენს სიდაბლეს. გრძელი კაბა შესანიშნავი საშუალებაა ფეხის ცუდი ფორმის დასაფარად, ნუ ეცდებით იყოთ ვულგარული იმისათვის, რომ ყურადღება მიიპყროთ. საჭიროა იყოთ სექსუალური და არა ვულგარული:

გაითვალისწინეთ, რომ დაბალი, საკმაოდ მსხვილი ფორმის ფეხების მქონე ქალისათვის ღრმად შეჭრილი გრძელი კაბა არაფრისმოძვემია, გარდა ვულგარულობისა. გასოვდეს, რომ ყველაზე კარგი მრჩეული კოსტუმის შერჩევისას მაშაყვის თვალია და აუცილებლად გაითვალისწინეთ თქვენი მეგობრის, მამის, მისი რჩევა და თქვენ მიმზიდველი იქნებით.

ლიზა პრისთავი
მოდელიორი



იუმორის გვირგვინი - წუთუასპინეტი

პატივცემული მკითხველო!

კარგად მოგესხენებათ, თუ დღევანდელი დაძაბული და დუხჭირ-გაჭირვებული ცხოვრების გამო, რარიგად ესაჭიროება ხალხს იუმორი და მისგან „გამონაკონი“ სიცილ-ღიმილი. დიას! ჯერ კიდევ, გამოჩენილი მწერალი და მოაზროვნე ვალტერ სკოტი ბრძანებდა: „იუმორი დიდი რამაა, მასში ჩვენი ხსნაა, მისი ერთი ნაპერწკალიც საკმარისია, რომ მრისხანება შენელდეს, გაბრაზება და გაბოროტება გაქრეს და სული და გული განათლდეს, სიხარულმა მოიყვას“.

- და ბარემ აქვე ჩემიც გავიხსენოთ:
- * სიცილი სიკვდილის ბაქტერიებს ხოცავს, გირილი - სიცოცხლისასაო.
- * ჯანმა ბრძანა - სხვა სიკეთემდე, ჯერ სიცილი მიბოძეთო.
- * ღიღინ-სიცილი სულის საღიღ-ვახშამიაო.
- * ღიღინი გაკეთებული საქმეა ხევიან-ბარაქიანიო და სხვა.

ამ თემაზე საკმაო ოდენობით დამიგროვდა „ინტიმური ნაკვესები“ (მცირე ნაწილი გამოვაქვეყნე ახლახან გამოცემულ ჩემს წიგნში „ანდაზები და ნაკვესები“). მართალია, ბევრი მათგანი საკმაოდ „წაიმლაშებს“, მაგრამ მოგესხენებათ, რომ თითქმის არცერთი მწერალი, ჩვენშიც და გადაღმაც ამ ხარკს ვერ გაჰქცევია (მაგალითისათვის დიდი ფრანგი მწერალი, ვი დე მოპასანიც იკმარებდა). ანდა გავიხსენოთ ჩვენი მცხოვანი დავით გურამიშვილი, „ქაცვია მწყემსში“ შეიღს რომ მოძღვრავს: შეილო! ისეთი ქალი არ ითხოვო, რომელიც „ქმარს მიიჩნევს ჭირად, კუროს მისაჭირად“-ო.

თუნდ ავიღოთ დალოცვილი ქართული ანდაზები, განა ცოტაა მათში „სიმლაშე“ (და სწორედ იგია პეწისა და ლამათის მიმცემი):

- * ნაბობარ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებო.
- * დამ დას ნიფხავი ათხოვა და - საჯდომი არ ჩაყო.
- * რძალსა და დედამთილს შუა „კაცისა“ დაიკარგაო.

ახლა კი, გთავაზობთ რა „ინტიმურ ნაკვესებს“, ვიმედოვნებ, მეც მოგიტყვებთ მოგიერთთა „სიმლაშეს“.

პატივისცემით, მახტანბ ჯამრიშვილი

ინტიმური ნაკვესები

- * ფუტკარმა ქალს „იქ“ უკბინა - როგორ თუ თაფლზე უტკბესს გეძახიანო.
- * ჯანს კითხეს - ინტიმურ ცხოვრებაზე რას გვეტყვიო, და - ჭამასმისა-არ იყო, არც ძალზე შიმშილი ვარგა და არც ძალზე ღორმუცელობაო.
- * კაკლის მერტყავ ქმარს შესძახა ცოლმა - კაცო, არ ჩამოვარდე, თორემ შენი ხალაც ოხრად დამჩნება და კაკლებიცაო.
- * ქალში ქალი ქრებაო, როცა კდებმა კვდებაო.
- * პატარძალმა სთქვა - ღმერთმა ერთი ღამეც ნუ გამატარებინოს... უტრიკოთაო.
- * - დედაკაცო! დამანახვე მაინცა, პატარძალი რომელია! - აგე, ისა: შარვალ-ჩექმებში, პაპროსით პირში, შალახოს რომ ახუჭუჭებს!
- * ქმართან კვნესის, ვიშვიშებს - წამლებმა ვერ მიშველაო, საყვარლებთან კეკლუცობს და კოტრილობს შიშველაო. (დგურამიშვილი: ქმარს მიიჩნევს ჭირად, კუროს - მისაჭირად).
- * ბიჭმა რომ გოგოს ქორწინებამდე თავი სთხოვა, გოგომ შეუტია - მე შენ საზამთრო ხომ არა გგონივარ, „გაჭრაზე“ რომ ყიდულობენ ხოლმეო.
- * ქმარი მოესიყვარულა ცოლს - ქალო, მშვიერი ნუ წვებიო, და - სჯობია შენ იმაზე იზრუნო, მშვიერი არ ავდგეო.
- * მოხუცმა დაიჩივლა - ველარა ვსვამო.
- * ყველაზე ძნელი დასადგენია: მმართველსა და ლამაზ მდივანს შორის ვინ ვისი უფროსიაო.
- * ქმარი ტიპტორიანი იყო, ცოლი მარტო ჭოროიანიო.
- * ქალი და საჭმელი რაც არ უნდა მოშობილავი იყოს, მარტო ცქერით ვერ გაძლებიო.
- * საბანმა გაიკვირვა - ქორწინების პირველ თვეს, ნეტავ რატომ ეძახიან თაფლობის თვეს, როცა მას ნეფედედოფალი კვნესასა და კივილში ატარებენ ხოლმეო.
- * „კაცისა“ გაეხუმრა „ქალისას“ - მოსაკლავად მომდევნო, და - ნუ გეშინიან, მე დაგმალავო.
- * ქმარს რომ სატროლისას კოვზი დაუვარდა და ცოლს შემცვლელი მოსთხოვა, ცოლმა ჩაუცინა - კი ჭირიმე, ამქვეყნად არაფერი ვარგა... დავარდნილიო.
- * მთელი ღამე უხამსობას უჩვენებდა ვიდუო, დილით მხახეს ჩემს საწოლში გულწასული ვიდუო.
- * - ნეტავი რა გევალება პირველ ღამეს მუთაქაო?! - მხოლოდ ის, რომ დავადგინო, თუ რამდენჯერ უთაქაო!
- * ერეკლემ დალოცა მებრძოლნი - ღმერთმა არ მოგაკლოთ: ბრძოლა-



ანც ტა მიშულა ციტილმა,
ანცა ცტომლომის დენამა,
მიშულა ისუ სიცილმა,
ლაქატიანმა ონამა



- ში კვეთება და ოჯახში - კეთებაო.
- * ქმარმა ჰკითხა ცოლს - შენჩემობა რას წინაშავსო, და - შენი ჩემია და ჩემი შენიო.
- * ერთმა ქალმა ინატრა - ნეტავ „კაცისას“ მარტო სახელი ჰქონდეს მოკლეო.
- * ქმარი მოესიყვარულა კაპას ცოლს - შენ ღმერთმა დაგიფაროს დაქვრივებისაგან და ჯანდაბას, ისევე
- * ქორწილი რომ მეორე ღამესაც გაგრძელდა, პატარძალმა იკითხა - პირველი ღამე რა მექნაო?!
- * ობოლი გოგო ვითხოვეო, და - მოგილოცნია... უსიდედრობაო.
- * დღე უფროსი დამკვივის „შესაძლებლობებს ვერ ითვისებო!“ და ღამე - ცოლიო.
- * პატარძალმა გაიხარა - რა კარგია, რომ საათი გადასწიეს, ერთი საათით ადრე დავწვებით ხოლმეო.
- * ფეხმსუბუქობამ დამაფეხმძიმაო.
- * კრიტიკოსს ჩაუცინა ცოლმა - ნეტავ ყველაფერი ენასავით გიჭრიდესო.
- * ახალმა უფროსმა დივანიც ახლითა და პეწიანით შეცვალა და... მდივანიცაო.
- * ქმარმა რომ ცოლს უთხრა - ჩემი მოადგილე ავარიში მოხვდაო, ცოლს კინაღამ წამოსცდა, „რომელი მოადგილეო“.
- * საქართველომ დაიჩივლა - ბავშვების ჩასახვას ბევრს ვხედავ, გამოსახვას კი - ვერაო.
- * ბიუროკრატის ცოლი რომ დასაწოლად გაშიშვლდა - არ მიმიღებო? და - ხვალ შემოიარეო.
- * ცოლმა შესჩივლა ქმარს - ჩვენი ტელევიზორი მხოლოდ უჩვენებს, ხმას კი არ იღებსო, და - ნეტავ შენ დაგმართოდა ეგ ამბავიო.
- * მოსამართლემ ცოლის აღერსი და ღმობიერება, ღმობიერი განაჩენებით მოაპოვა.
- * ცოლი და საყვარელი ღამის ერთნაირად შეაღერსებინა: ცოლმა - „გამოთაყვანებულო“ და საყვარელმა - „გეთაყვანეო“.
- * საბანმა წაიტრახა - ნახუბარი ცოლ-ქმრის შერიგების ოსტატი ვარო.
- * ცოლმა ჩაუცინა ქმარს - რა დიდებულად ჟღერს „რაოდენობაც და ხარისხიცაო“.
- * კარგაშეზარხოშებული ქმარი რომ ცოლის საწოლზე გადიქცა, ცოლმა ჩაუცინა - საჯარიმოზე კი წაიქეც, მაგრამ პენალტის თავი რომ არა გაქსო.
- * საყვარლისაგან დაბრუნებულ ქმარს ცოლმა კარი რომ გაუღო - მოწვეული ძროხას რა თავში ვიხლიო.



- მე დავეჭრივდეო.
- * ქმარს რომ ცხვირს დააცემინა, ცოლმა „იქ“ მოუცაცუნა ხელი - გაზრდაო.
- * შინაბერამ რომ უნივერსიტეტის სართულზე წაიკითხა - „ყველაფერი ქალებისათვისო“, ჩაიცინა - ვითომ ყველაფერიო?!
- * საყვარელმა თავი იმართლა - ამქვეყნად რომ ქალები ვჯარბობთ კაცებს, ყველანი ხომ ცოლები ვერ ვიქნებითო?!
- * ცოლის საჯავრელი ქმრის საყვარელი იყო.
- * ქმარი რომ საყვარლისაგან დაბრუნდა, ცოლმა მიაწყველა - პარამი იყოს პარამხანაო.
- * შინაბერა გელორგს დაუმეზობლდა - ეგებ აღმომაჩინოსო.
- * ხვალიდან ღამისცვლაში უნდა მამუშაონო, და ცოლმა ჩაუცინა - ჩემთვის მაინც ეკითხათ შენი ღამისცვლის მარიფათიანობაო.
- * მაღლი არა აქვს, თუ ცხოვრება და ქალი უცებ დაგნებდაო.

